სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 13 მაისი, 2019 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:
დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;
ნატალია ედიშერაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამის მენეჯერი;
ირმა ოქროპირიძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი;
ივანე კვიტაიშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გმოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის შესყიდვების კოორდინატორი;
მაია კვარაცხელია - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის შესყიდვების სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:
ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ფერადი ასლების გადაღების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება

დღის წესრიგი:
1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა

პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში ფერადი ასლების გადაღების მომსახურების (CPV79500000 - ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა ჩატარებული ფასთა გამოკითხვით და შესასყიდი მომსახურების სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - **45000** (ორმოცდახუთი ათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:
1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიის თავმჯდომარე:	დავით ხვედელიძე -
კომისიის წევრები:	ნიკო გიგოლაშვილი -
	ნატალია ედიშერაშვილი -
კომისიის აპარატის წევრები:	ირმა ოქროპირიძე -
	ივანე კვიტაიშვილი -
	მაია კვარაცხელია -